ფასი 10 კაპ.

იუმორისტული ჟურნალი

# ეშმაკის მათრახი



№ 7




საბჭოს კარებს მივადექით
გულს იმედით სახსხული!!

(შემდეგი იხ. მე-4 გვ.)

## ახალი ამბავი.

**პური.** ახლო მომავალში გირვანქა პური მესამოცე ხარისხისა შვიდ აბაზზე ჩამოიყვანეს მუშების ხათრისათვის.

* * *

**ქურქები.** როგორც გადმოგვცეს, „თფილისის სათავად-აზნაურო“ გიმნაზიაში საშინელი ყინვები დაიჭირა. ლამის მასწავლებლებს ტვინები დაეყინოსთ. სასწავლებლის საბჭოს გადაუწყვეტია შეიძინოს 30 ცალი ქურქი და ამდენივე ღრმა ყელიანი კალოში მასწავლებელთათვის.

* * *

**წარმოდგენა.** ქართ. დრამატიულმა დასმა დიდ ხანს ეძება დასადგმელათ პიესა. იქით ეცა, აქეთ ეცა, მაგრამ რიგიან პიესას სად იშოვიდა. ბოლოს დაადგინა: წარმოდგენილ იქნას თანამედროვე შინაარსის ვოდევილი „არც იქეთ, არც აქით“.

* * *

**ლექცია.** ახალ კლუბში ცნობილი ლექტორი გიორგი გვაზავა წაიკითხავს ლექციას ამ თემაზე: „დღევანდელი რეაქცია და ქართველ ბოქაულთა უნუგეშო მდგომარეობა“. წმინდა შემოსავალი ლექციისა დანიშნულია ოდიშის ბოქაულთა ფონდის დასაარსებლათ.



# კვირიდან-კვირამდე.

ღმერთი სამებით იდიდებისო, ნათქვამია და ჩვენმა მართლ-მორწმუნე ბიუროკრატიზმამაც მესამე დუმა მოიწვია. მართალია მესამე დუმა მსუქან „დუმიან“ „ზუბრთა“ ბანაკი გახდა, მაგრამ, როგორც ჩვეულებაა, მაინც შეუდგენ „საქმიანობას“ თავმჯდომარისა და მისი ამყოლ-დამყოლის არჩევას. როგორც მოსალოდნელი იყო კადეტებს კუკუ ამოკრეს, გააშავეს მილიუკოვი, აირჩიეს ხომიაკოვი, პირველი კადეტების ბაირახტარი, მეორე ოქტომბრისტების. რაკი ბაირახტრობა ხელთ იგდეს ოქტომბრისტებმა ეჭვი არ არის თავის ბაირაღს ქვეშ ყველა თავისიანებს შემოკრებენ დანარჩენები ნავს გარეთ დარჩებიან. ბევრი ილაკლაკა მეორე კადეტების ლიდერმა მაკლაკოვმა იქნებ თავმჯდომარის ამხანაგად ამირჩიონო, მაგრამ წაუხდა თათბირი და ყოველი დანაპირები—გაშავებულ იქმნა. ასე და ამა პირსა ზედა ოქტომბერში არჩეული დუმა ოქტომბრული ავდრიან-ტალახიანი იქნება და ამ რიგად ჩვენს ცეცხლში და მახვილში გამოცდილ მარჯვე ბიუროკრატიას ანგარი მარჯვენა კიდევ უფრო გაუმაგრდება, ხალხს კვლავაც სათლელ დუმათ გამოიყენებენ და თავიანთ დუმას კიდევ უფრო გაისუქებენ

* *
*

მაგრამ, ერთი დრო არავის შერჩება და შეიძლება ჩვენებურ ტარანის დამწუნებულ და ბერძნული კეფალის შემნატრე სამღვდელოებასაც არ შერჩეს... ვის არ ახსოვს სემინარიაში მომხდარი ამბავი კუნკულ-ბარტყულის და ანაფორის ფრიალი, ყვრიმალსა ცემა და გვემა ქრისტეს მსახურების ქრისტეს მხედრობის მიერ. ჟამსა მას ზნეობრივ-ფიზიკურად დასჯილ სამღვდელოებას, სომხის სამღვდელოებამ თავისი დეპუტატის პირით თანაგრძნობა გამოუცხადა, გაბრიელ ეპისკოპოზის დასაფლავებაზე გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა და ქართულ ეკკლესიას დანაკლისი მიუსამძიმრა დეკანოზმა ტერ-დავითიანცმა, მგოსანი ილიას დასაფლავებაზედაც სომხის სამღვდელოებამ თავიანთი დასწრებით და პანაშვიდებით თავისი მწუხარება აღნიშნეს. მოსალოდნელი იყო ყოველივე ამის შემდეგ ქართველი ავტოკეფალისტ-ავტონომისტი სამღვდელოება სომხების სამღვდელოებას მაგიერს გადაუხდიდა დროც კარგი ჰქონდა. კათოლიკოსის ჰაირიკის სიკვდილის გამო. ამას მით უმეტეს მოველოდით, რომ ქართველი ეპისკოპოზები ყველანი აქ იყვნენ თფილისში მაგრამ მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო. ჩვენმა სამღვდელოებამ ერთხელ კიდევ დაამტკიცას, რომ ისინი პანაშვიდებზე იქ არიან მარჯვე, სადა მათ უძირო ხურჯინს გავსება მოელის. 6 ამ თვეს ვანქის ტაძარში ჰაირიკის პატივ-საცემლათ თავი მოიყარეს იმათაც კი, ვისაც საქრისტიანო ეკკლესიასთან საერთო არაფერი ჰქონდა. მაგალითად იქ იყვნენ თათრის მოლები, ურიების რაბინები, არ იყვნენ მხოლოდ ოფიციალურად ქართველი სამღვდელოების წარმომადგენელი (ჩვენ სახეში არა გვყავს ორიოდე შემთხვევით დამსწრე მღვდელი). რას ნიშნავს ეს? მაგრამ ჩვენ სრულებით არ გვიკვირს კუჭის მრწამსისტებისგან ასეთი საქციელი. ჩვენ კარგად ვიცნობთ ქართველ სამღვდელოებას. ესენი იყვნენ მინგრელსკი პოლკის სალდათების სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ რომ ამხედრდნენ და მერმედ ბოდიში მოიხადეს, უკაცრავად ქრისტეს მსახურებს ერთი ქრისტიანული საქმე წაგვცდაო, ესენი იყვნენ ეგზარხოს ნიკონს რომ არ ღებულობდნენ და შემდეგ ,,მოწიწებით ფეხს კოცნიდნენ'' და თითეულ მის სადილში 300 მანეთს ხარჯავდნენ, ესენი იყვნენ და არიან თავიანთ თანამწირველებს რომ უღალატეს და უარი უთხრეს, ვინ მოგანდო ჩვენს მაგიერად რაიმე თხოვნის გაგზავნაო. ესენი არიან მათრახით და თოფის კონდახით რომ დრამას აგროვებენ - გიცნობთ ,,საფლავნო განგოზილნო'' და ამისათვისაც მზათ ვართ შეურაცხვყოთ კუდი „ეშმაკის მათრახისა“ და თქვენც ღირსეულად გიქიროთ.

*
* *

ერთი დრო შეიძლება არც პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს შერჩეს. ამ ედისონის ჭკუის ნაყოფის საჩარჩო სააგენტომ დუმის გახსნას ჩარჩის თვალით შეხედა, დრო იშოვნა და დეპეშების თვიურ გადასახადს ხელად ხუთი თუმანი მოუმატა—ვინ არ იცის დღევანდელი გაზეთების კრიზისი, ისიც ქართულის! მოდი და 20 თუმანი სააგენტოს აძლიე, ჯათუმანი გენერალ-გუბერნატორებს. ამას მგონი ზუბალოვის ფონდიც ვერ გაუძლებს და აკი ჩვენმა ქართულმა გაზეთებმაც ბოიკოტი გამოუცხადეს, მართალია წააგო გაზეთის მკითხველებმა, მაგრამ სააგენტომაც ბევრის ძებნაში ცოტაც დაკარგა.

აბრადინი.



## დ უ მ ა.

ეს მესამეთ შემოკრბი
შე საბრალო დუმაო,
ურჩობისთვის მთავრობამ
ორჯერ დაგადუმაო.
პანდური გკრა გენაცვა
გაგისტუმრა შინაო,
პეტრეს ქალაქს წაგართვა
ტავრიდაში ბინაო.
ასე გითხრა უსუსურს:
„დაიმოკლე ენაო
თორემ სრულად გაგაქრობ
მთავრობას აქვს ღხენაო!
რას იძახი, ცუღლუტო,
„უფლება და მიწაო?“
მუშებსა და გლეხებსა
კიდევ უნდა ძიძაო.“
ეხლა მაინც გაჩუმდი
კიდევ არ სთქვა -ტუვილიო,“
თორემ თოფ კონდახით
ჩაგემტვრევა კბილიო.

ვ. მალაქიაშვილი.



# გურული სცენა

**ორი ქალის შეხვედრა.**

მოქმედება სწარმოებს გურიაში, გაკირულ ხიდესთან.

— შეიტყვე შე ქალო ახალი ამბავი?

— ახალი ამბავის მეტი ახლა რაა ბეჩა ქვეყანაზე. შენ რომელ ახალ ამბავს ბძანებ.

— ქე გეტყოდი მარა ნეტაი მეც არ გამეგონა და ჩემი ორივე სასმენი ყურები დამფაეპოდა.

— რა იყო შე ქალო მითხარი.

— გითხრა თვარა ხაჭაპური არ გამომიცხო!

— რაცხაა ოჯო, თუ ნამეტარი კონსპირაციული არაა იმით მივხთები ქე მეტყვი, თუ ვერ ვზიდავ და იმფერია ჩემი დაიე, ნუ მიჩივი.

— თვ.რ გაგიგია ჩემო დაი, ნურც აწი გეგვებ უკეთესია; მე რომ გევიკე კაკალი გული მომეჭექა, მთელი დღეი გაპუოვ ნებული ვ არებოდი, ჩემ პირში ნაწილი არ ჩასულა, ჩემი აბდალაი

ჰკუით ათე ვფიქრავდი, ღმერთია თუ გუნება ქე ვვეყოფა აწი რაც სიავე გვიქნია და აწი პაწეს სულს ამევითქვამთ მეთქი, მარა რავაც ვატყოფ ჩვენდა აღარც ღმერთია და აღარც გუნება. ქე ჩივოდენ აგი სანთელ-საკმეველია აწი ვარეს ელოდეო, მარა ხომ იცი კაცის გულის ამბავი რაც არ გიამება არ დეიჯერებ და არც მე დამიჯერია მარა გუშინ რომ ჩემი თვალით ვნახე და ჩემი ყურით გევიგონე ნეტაი დამცხებოდა ორივე სამზერი თვალები და იგი არ დამენახა... დედა, დედა დედა! რა დეინახა აგი ჩემა დასაფსებმა თვალებმა, რა გაიგონა აგი ჩემმა სამიწე ყურებმა, რას მოესწრო ამას ყორნის დასაქმელი პელაგიეი...

— რა იყო შე ქალო, რაფერ დამაჭლექე ქალი!

— რა იყო რავა, მე არ გითხრა და არ შეგიმცხადო შენით ვერ შეიტყობ თუ? ბრმას ქალი მუუკტა და რაფერ უთხრათო, გვერჩი რომ არ მუუწობა თვითონ მიხთებაო, იმის თქმის არ იყოს, შენ ქმარს რომ დეიჭირვენ, შენ ბიჭს რომ პალევოი სუდში მისცემენ, შენ გასათხოვარ ციცას რომ ზედ მიაყოლებენ, ძროხას აგიბლავლებენ, ქათამს აგიკრიახებენ, ბუდეზე მოჭვას გაგიწბილებენ, იმ ნამწვა ქუხნას რომ აგიბირდღილებენ ჩემი თხრობა აღარ დაგჭირდება შენითაც ქე მიხთები რა ამბავი ყოფილა!

— ცეხლი ამოგივიდა პირიდან. მაისის გველი ვნახე შენს ენაზე მიწიპწიპებული, ჯვარი აქაი რას ჩივი თუ იცი თუ გადირიე პერანგი გადიბრუნე და ხატის პირის ნაბანი დალიე, რას მიმედებ თუ იცი!?

— გიმედებ და ნეტაი შენ! ძველი ვეზდის ნაჩანიკიც დუუბრუნებიან ოზურგეთში, და გუბენატორიც ოზურგეთში დუუნიშვნან. რაც ფშიონები იყო ყველაიზა თითო ჩინი მიუმატებიან და ერთი ხუციზა დეკანოზის ჯვარიც კი ჩამუუკიდიან გულზე. ქვაი და ლოდი ვნახე დღეის სწორამდე იგინის გულზე დადობილი.

— გაჩერდი პელაგია თუ ქალი ხარ, ნუ ჩივი სალავათს იგინის დაბრუნებას თათრობა, რომ დაებრუნებიენ ას წილათ ჯობდა, თათარი ტყვეს წეიყვანდა მარა ოც მანათად ქე დაგახსნიდა, აგინმა თუ ჩეიგდეს ხელში ოცი მანეთი მარტუაი შუაკაცს არ ეყოფა, დედოებს ხომ ხუთას-ექვსასი მანათითაც ვერ გააძღებ, მერე კიდევ თათარი აგერ გეიყვანდა ჩოლოქს გაღმა, აგინი კი საცხა ვიაცკიაო, ქვეყნის დასალიერს იქინეი აგზანიან, მერე იმისთანა ადგილი ყოფილა ჩემმა მაზლმა მეიწერა მზეი თუ ამევიდა არ ჩავავო, თუ ჩევიდა არ ავაო.

სხვაი რა იცი ჩემი პელაგიეი, მითხარი.

— ჩემი თვალით რომ არ მენახა და ჩემი ყურით არ გამეგონა მატრონე არ მომიკტეს შენ სიმცრუზე არ დაგიფიცებ—არც მე დამეჯერებია. ბუშხამ ოზურგეთში ვიყავი ცინცალაის შესაყარ ციცაიზა საკაბე მინდოდა; კაცი მაინც ვერ გამოარჩევდა, მარა მაინც ვერ ვანდე ოზურგეთში ჩასული ბევრი დეიჭირეს. მე მივიგონგე-მოვიგონგე დედაბერსავით, პირზე ჯანგარაიც კი შევიცხე, ყაზახის ჭირი გიერია იგინს, ყაზახს არ შივეხარბო მეთქი. შიველი საფართლო დუქანში. ვაჭრები რაცხა ისე იყო, რომ დანაპირს არ ულებდა. საქონელზე შივევაჭრე, წაკარება შეგიძლია თუ, მარიხობაში რომ ორი ხუთშაურათ იყო იმისთანაი ახლა ორი ცხრათ დამიფასა, რა იქნა რამ გაგაწანწალა ძველ დროს ხომ არ უპირებ მობრუნებას მეთქი. მეიცაი პაწეი ძველი დროი ბაირამი იქნებაო მითხრა ძველი ნაჩანიკიც მევიდა და გენერალიც—გენერალ-გუბერნატორათ... კი ეგონა მეგვიმპრია ყაზილარებს ქვეყანას გადავაბრუნებთ მარა ჩუულბენ, აგერ ესიკას და გრიგოლას ბოიკოტიცკი გამოუცხადეს მარა ზარალის მაგიერ კიდეც ასარგებლეს, რადგანაც ამით მთავრობასთან ნდობა მუუკეთეს იგინის მეტი ქე დეიჭირეს თითქმის ყველაი.

ასე მითხრა მედუქნემ; სულო ცოდვილო, ცოდვა გამჟღავნებული ჯობს პაწე კიდეც მიამა ვაჭრების დაჭირვა, მარა მაინც ვკითხე; ვინ დეიჭირეს მეთქი. ვინ და ექვთიმე ვასაძე თავის პრიკაშჩიკიანა, დიომიდე სალუქვაძე, დიმიტრი ცეხლაძე, ბევრი კიდევ სხვაი, ვაჭარი, ვაჭარია და ნატარიუსი ჩიჩუაც ზედ მიაყოლესო. მერე რას უზამენ თუ იცი მეთქი, რას უზამენ და იმას, რაც იაკობა ბიაროლლის უქნეს და ჩოხატაურელ ვაჭრებსო. გადააკარქვლიებენ თითოს ექვსას, ექვსას მანეთს და ქე გუუშობენო.

— პელაგია შენი დობის ჭირიმე ნუ დამიმალავ მითხარი თუ შეიტყვე ესოფაი ურუშაძე, კოწიე სიამაიშვილი ან მისი ძმაი სამუელაი თუ დეიჭირეს მითხარი რაცხა მურდუ ნათრულობაა ჩვენში და მეშინია არ დეიჭირონ.

— ჯერ არ დუუჭირვან მარა ისე კი აქვენ წყალი შემდკარი—მასიკოს პირით შეუთვლიან თქვენით გამოგზავნეთ შესაწირავიო.

— მასიკო ვინ არის?

— რავა არ იცი შე ქალო გებუაძეს რომ ციცაი მოსტაცა და იმიზა მამამ გეიძულია—ახლა იმას თურმე პრისთაობას აძლევენ.

— მაგი კი გამეხარდა მოძულებულის და გაძულებულის მეტი ვინ დადგება ახლა აბა პრისთავათ მაგი რა გასაკვირია იმფერი დროი და ბორჯია რომ ყოლიფერს გეიგონებს კაცის ყური, მარა ერთი აგი მითხარი თუ ქალი ხარ შენ ჭკვიანი ქმარი გყავს, ახლანდელი მთავრობა ფულებს იჭირავს თუ იგინს ვინცხამ იგინს ძილი და ღვიძილი დუუკარგა? იგინს თუ იჭირავს იგინი ყველაი უკლისათ იარებიან, ერთის მეტიზა არ შუურიან ხელი და ექვთიმაი გინდა დეიჭირონ და გინდა ნუ. ასეც უქნიან, ისე ქცევიან ფხარი ნიკოკია და ივანე ჯაყელიც დუუჭირვან იმის დარდს კი ბუუძლო. რაცხას იზმენ აგერ დევინახავ, დალხინებული მიდლეჩი არ ვყოფილვარ და გამწარებასაც ქე შივეჩვიე...

— მშვიდობით, მშვიდობით მიმყოფა ღმერთმა შენი თავი!

— ბუნება, გუნება, შეგეწიოს შე ქალო, ღმერთი არე კაცმა ბეიგონოს თვარა მევიჯაყებით. თუ რამე ბეიგონო კიდევ, თუ შენში ქალობაა მეც გამიზიარე . . . . . . . .

პიტნა.



## ნადიროვის და დოლუხანოვის მამულიდან.

ამხანაგო ეშმაკო!
რაზედ შემოგვწყრომიხარ?
ამ ჩვენ საწყალ უბანში
ერთი რათ არ მოდიხარ?!!

მუდამ ვნატრობთ: ნეტავი
ჩვენსკენაც კამოიარო,
და ის გრძელი მათრახიც
თანვე ჩამოატარო.

ჩვენი ავი, კეთილი
შენივე თვალით ნახო,
და ვინც ღირსი აღმოჩნდეს
ყველა გაამათრახო.

სიმართლე მოგახსენო:
მათრახი ბევრს სჭირია,
რადგან ხალხის მყვლეფელი
ჩვენში ერთობ ხშირია.

მოდი ძმაო ეშმაკო:
არ იფიქრო სხვა რამე,
საქმეს მუდამ იშოვნი
როგორც დღე, ისე ღამე.

მხოლოდ ფული გჭირია
ხუთმეტიოდ მანეთი,
აქ რაჭა არ გეგონოს
გურია ან სვანეთი.

ნაკლები თუ დაგირჩეს
აქ მოსვლა არ გაბედო,
თავშინათვე გაგფცქვნიან
არ მომიკვდეს საბედო.

ამ ფულიდან ხუთ მანეთს
საწყევროს გადაიხდი,
ხუთსაც ისე წვრილ-წვრილათ
(იმედია კი მიხვდი).

თუ კი ეს მოახერხე?!
ჭეშმარიტი წყვრი ხარ...
პურს იაფად მოგცემენ
სრული ბედნიერი ხარ.

თუ ეს ვერ მოაგვარე?
შენთვის პური ძვირია,
იქნებ შიმშილით მოკვდე
განა გასაკვირია?!

როცა მოხვალ, იკითხე
ხურო მელქისედეგი,
დუკა ებრაელიძე
ან სხვა ვინმე შემდეგი.

მაშინვე მიგიყვანენ
წარჩინებულ პირებთან,
დახავსებულ წესების
მეომარ დევ-გმირებთან.

და უერე თუ ძმა ხარ
როგორ მოგეპყრობიან,
იტყვი ამდროს, ამათა
კაცი ძნელად სჯობიან.

დაგიწყებენ! მუსაიფს
ამ მთისას და იმ მთისას...

(თან ჩუღში შეგცქერიან
როდის გამოხსნი ქისას!)
როცა მოიჩქეთ საუბარს
ჩაჩუღდ მათ დავთარში...
ნახე რაებს ჩადიან
ამ საშინელ ზამთარში.
ღარიბ ხალხის ინტერესს
ნახავ როგორ იცავენ,
და ჭეშმარიტ საშასხურს
მტკიცედ შემოგფიცავენ.
როცა კარგათ გაიგო
მათი წიგნი დავთარი,
თუ ძმა ხარ ეს მათრახი
რიგიანათ გაჰკარი.

თითონ იცის.



## კითხვა პასუხი.

კითხვა:

შენი ჭირიმე „ეშმაკო“!
გკითხავ, ნუ გეწყინებაო:
სიბერის ჟამსა კაცთ ტომი
ნეტა თუ სულელდებაო?

ნიბლია.

პასუხი:

არა, ძმობილო „ნიბლიავ“!
კაცზე არ ითქმის ესაო;
ბუნებამ ესე ცვლილება
მაიმუნთ დაუწესაო!!
მაგრამ კაცებშიც ვიხილავთ
ამ კანონს მრავალ. გზისაო,
(ერთი ამგვარი მოხუცი
„ნიშადურშიაც“ ზისაო).

ეშმაკი.





მაგრამ „ქართველ ზუბრთა“ საქმე
თურმე იყო დაკარგული!

## თეატრი და ხელოვნება

შიო თავადი. გაზეთი „ისარი“ აცხადებდა სამშაბათს 6 ნოემბერს, რომ გუშინ, ორშაბათს 5 ნოემბერს წარმოადგენენ ახალ პიესას „შიო თავადსო“. მეც რასაკვირველია ფრთები ავისხი და გავეშურე. ვიფიქრე: ბევრი სოის თავადი მინახავს და მოდი ერთი ამ შიოსაც ვნახავ მეთქი.

გეახელით. თეატრში სრული თავისუფლება! სადაც გინდა დაჯექი, რაც გინდა აკეთე—კაცი არ დაგიშლის. გამოცხადებული იყო შიო 8 საათზე უნდა მისულიყო, მაგრამ ცუდი გზების გამო, როგორც ჩვეულებათ არის ცხრის ნახევარზე გეახლათ. ვერაფერი ბიჭია სიმართლე მოგახსენოთ! ჩვენზე ნაკლებ მისი ნახვა არც მის დედასა და ცოლს გახარებიათ.

დაიწყო შიომ თავისი ამბავი ალავერდა სარდალთან მოციქულობის შესახებ და გამახსენდა ჩვენი ფედერალისტები. ისე ქუხდა და სჭექდა მაგარ-მაგარ სიტყვებს. ალავერდას დაუხმარებლათ ქართველების საქმე გლახათ იყო თურმე და ის კი უარზე იდგა. თფილისში მაშინ რუსების მაგივრათ თათრები იდგენ. ალავერდას მოსასყიდათ შიომ თავისი ცოლი გააგზავნა. ის ჯერ უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს წავიდა მაინც.

თითონ შიო თავადი ქალაქის მახლობლათ ჩაუსაფრდა თათრებს 400 კაცით. ცხრა დღე დარაჯობდა აქ. ამ ხნის განმავლობაში მას, ჩოხაში გამოწყობილი მისივე და (ნათელა) ემსახურებოდა და იმდენათ გატაცებული იყო შიო მომავლის საქმით, რომ თავისი საყვარელი დაი ვერც-კი იცნო. ამ დროსაც ისევ ფედერალისტები გამახსენდენ. როცა ისინი სამშობლოს სიყვარულის ცეცხლს აფრქვევენ, ნიჭი ცნობად კეთილისა და ბოროტისა“ სრულიად ეკარგებათ ხოლმე.

გაგიკვირდება კაცს: როგორ შეიძლება ძმამ ვერ იცნოს თავისი და. (თუნდაც ჩოხაში გამოწყობილი) რომელიც მხოლოდ ორიოდ დღის წინეთ გადაჰკოცნა და გამოემშვიდობა. მაგრამ დრამა ხომ ავტორის ნებაა?! როგორც უნდა მას ისე იზამს რათქმა უნდა

ინდოეთში დრამებს სულ სხვანაირათ სწერენ თურმე იქაური დრამატურგები უფრო ნამდვილი ცხოვრებიდან იღებენ ამბებს და ამიტომ არც ისე ლამაზათ გამოდის იმათი დანაწერი.

ჰო, შიოს ცოლმა მართლაც დაითანხმა ალავერდა და ქართველების მხარეზე გადმოიყვანა, მაგრამ ბოლოს მართლა ქე შეუყვარდა ის თათარი და ეუბნებოდა გავიქცეთ აქედანო.

საწყალი შიო მოკლეს ბრძოლაში და სცენაზე შემოასვენეს. ნათელამ ბევრი იტირა და შემდეგ გადაირია. ცოლმაც ბევრი იტირა საბრალომ.

ომი როგორ გათავდა არ ვიცით, ხოლო შიო თავადი ორივე მხრით დამარცხებული გამოვიდა.

ზენტი.



## საყვარელო სამშობლოვ!

საყვარელო სამშობლოვ!
რაზედ მოგიწყენია?
ლუარსაბ თუ გაგექცა
გვაზავა ხომ შენია!..
იქნებ მკოსნებზე დარდმა
გაგიჩინა გენია?
ილია თუ მოგიკლეს
იროდი ხომ შენია.!!!
დრამატურგებზე დარდობ?
ნუ თუ არა გცხვენია!
ვალერიან გუნია
ხომ საკუთრათ შენია!!!
ან თუ მხატვრებს დასტირი?
ცრემლი დაგიდენია
გიგო ზაზიაშვილი
შენია და შენია!!!!
ეკონომისტებს დარდობ?
აქაც კი შეგცდენია!..
სჩანს „ჭალარას“ არ იცნობ
„ეკალში“ რომ ბრძენია!!!!!
იქნებ პრესა გაწუხებს
და ვერ მოგითმენია?
მაგრამ „ისარ—ნიშადური“
სულით ხორცით შენია!!!!!
მაშ რას ნაღვლობ სამშობლოვ?
რაზედ მოგიწყენია?!
ეს რეგვენი შვილები
ხომ სუყველა შენია?!!

—აკი.



## ჩ ი ტ ი.

ყველაზე ბოლოს მე გავიღვიძებ,
ხელ პირს დავიბან, რა თვალს ვახილებ,
ამის შემდგომად კალამს ხელს ვკიდებ
და ,,ნიშადურსა'' გრძნობით ვადიდებ:
მე მისგანა მაქვს საჭმელ-სასმელი,
არც ,,გჩინოვნიკობ'', არცა ვარ მხვნელი,
არაზე ვწუხვარ, მაქვს მე ყოველი;
სხვათა გარეშე ნიჭი ,,ცხოველი.''
,,ტვინით'' სავსე ვარ, აზრით ქებული,
ამისთვისა ვარ აღტაცებული,
და ,,ნიშადურში'' დვთის მოცემული
ბუდე მიდგია მე დიდებული.
რომ მის ფურცლებზე მე დავეშვები,
მას სურნელების შორისა ვჭდები!

ხან მას მოსისხლე მტრებს მივუხდები;
ოდეს ,,შეგმუსრავ'' გზას გავუდგები.
გამოვიქცევი ვით რაში-ცხენი.
ვით ჩემი მუზა, ,,სამეართს'' მფრენი;
ასე გეთილათ, და უდარდელათ
მიდიან ჩემი ცხოვრების დღენი.

მე ვარ.



ბურკოს გასაჭირი.

## ნოქრების საუბარი.

(თფილისის საქ. სადგურზე)

—ბაგრატ! გამოცდილი მეკვხარ
აკოფოვის ხელით ნაშეოფა,
მე კი ახლად მოვლენილსა
ჩვენი არ მაქვს ჯერ სამეოფა.
მაშ მოდი და შეეკავშირდეთ
მეგობრობა შევკრათ ფრთხილი
შეუფარდოთ ჩემს ძალ-ღონეს
შენი ჭკუა გამოცდილი.
მუშა ცოტა ვამუშაოთ
ხაზეინს კი უთხრათ სრულათ
და თუ რამე გამოდნება
გავიროგოთ მეგობრულათ.
—მეგობარო! ვერ გიცნობდი
და არც მქონდა შენი ნდობა
აწ კლდესავით განმტკიცდება
ჩვენი ტურფა მეგობრობა.
კასაზე თვით მუშა დავსვათ
რომ ეგონოთ ფულის მცველი
მაგრამ ფულისა, რა თქმა უნდა.
არ ექნება იმას ხელი
მუშათა სოლიდარობა
აღარ სუფევს, როგორც ხედავ!
კარგათა გრძნობ ყველა ამას;
ამ საქმესაც მიტომ ვბედავ.
—ბაგრატ! ფულების შესახებ,
მე ვიცი როგორც მოვიქცეთ,
როცა მოგვთხოვენ მუშები,
ხან აქ, ხან იქით გავიქცეთ,
ხან კი ტირილი დავიწყოთ
და ასე ვუთხრათ მუშებსა:
,,ჩვენი სახლ-კარი გავყიდეთ,
ისე გირიგებთ ფულებსა''.

ისინიც შეგვეცოდებენ
არ მოგვთხოვენ ჯამაგირებს
და ამ გვარათ ერთ წლიწადს
ჩვენც გავათრევთ დანაპირებს.
ამ წლის შემდეგ, შენ იცოდე
საქმე სხვანაირათ წევება
და, ჩვენ კიდევ აქ დავრჩებით
არტელი თუ გამოწყდება.

გირგოლაძე.



## საიდუმლო მიწერ-მოწერა.

(საჭირია ჩუმათ წაიკითხოთ და არ გაამჟღავნოთ)

„ეშმაკმა“ წიგნი მისწერა
„ნიშადურელ“ გუნიასა,
წინეთ „დრამატურგათ“ ცნობილს,
(დღეს კი ოხუნჯს, მგნიანს)
მიეწერა: „ მაგ გაზეთში
რაებს ჩმახავ ბიძიაო?
წინაპრების ცოდო-მადლმა
ნუ-თუ ახლა გიწიაო?
სახელი მთლათ შეგირცხვება
დროზე თუ არ უშველეო,
წინეთ თითქო არ იცოდი
ამდენი სისულელეო.?
ახლა რაღა გემართება?
ე რა დღეში ვარდებიო?!
გონზე მოდი! „ქართველთა“
სხვაც ეყოფა დ... ებიო.
სრულად თუ ვერ გაანებებ
მაგ უნიჭო ენასაო,
ცოტა მაინც მოუკელი
სიბინძურის დენასაო..,
მასთან ერთად დაურთე
შენი „ბადრის“ ვირებიო,
(რას ბღავიან ე ოხრები
დაუღალათ პირებიო!!)
მართალია, ამ ერთეულით
ქვეყანა არ იქცევაო,
მხოლოდ შენი „ნიშადური“
წუმპეთ გადაიქცევაო..
ზრდილობასაც არ მოკლითხავთ
თქვენთვის ეგხო ხილიაო,
(თუმცა გვერდში გატუზება
ჩაკაშაძე ილიაო),
მაგრამ ამას კი გავბედავ
დაიბარეთ ეხებაო,

(ვირათ მაინც არ ჩავთვლიან
ეგონებით ცხენებით.)
მაშ ნახვამდის!, (აგი მქონდა
თქვენთან მოსახსენებით.")

ეი.

---

# წერილები ეშმაკისადმი.

**ერწო.** ამხანაგო ეშმაკო! სწორეთ საკვირველია შენი საქციელი! ყმაწვილო, მოთმინების ფიალა აგვევსო და ის არის. ამ მოკლე ხანში მთელი კავკასია შემოირბინე, ლამის ღრანიცაზე ამოჰყავი თავი, ხოლო ჩვენს მივიწყებულ თიანეთის მაზრას და კერძოთ ერწოს ერთიც არ შემოხედე. აი, აი, აი! სხვა არა იყოს რა, სირცხვილია ძმობას გეფიცები! ნუ თუ არ იცი რარიგ საჭიროა აქ შენი მათრახის კუდი ზოგიერთა ვაჟბატონების ზურგის მოსაფხანათ!!!

ახლა მაინც მოგვხედე და ერთი შემოიარე იმ დალოცვილი მათრახით. მათრახებით აქ ბევრნი დადიან და დიდ ხმარებაშიაც არის, მაგრამ...

ამასთანავე გაფრთხილებ რომ აქ უმთავრესათ სასულიერო პირებზე დაგჭირდება დარიგება და იმათი ამბავი შენზე კარგათ აბა ვის ეცოდინება? ერთხელ თფილისის ბურსაში ქე გაამათრახეს ხუცები, მაგრამ საყდრიონის ბლაღოჩინი მაშინ იმათში არა რევია. ახლა კი თუ შენი მათრახის კუდი არ მოხვდა არა მგონია იმ გლახა ქალალდების წერას დაანებოს თავი აქაურ მასწავლებელზე; არც იმ ზარის ფულს 150 მ. გადაუხდის სოფელს თორემ მასწავლებელს კიდევ ვინ ნაღვლობს?!

რაღა მარტო ბლაღოჩინი გავამტყუნოთ! თუ შენი მათრახის კუდი არ მოხვდა ისე არც ტოლათ-სოფლის მღვდელი მოიშლის პოლიციასთან ცუნცრუკს და გლეხებისაგან გირაოების მოტაცებას. ეს მას ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი და იმედი გვაქვს მათრახი გავლენას იქონიებს.

ნაქალაქრის მღვდელს მთელი მრევლის ყვირილმა და კეტის ცემამ ვერ მოაცვლია ფეხი სოფლიდან, ამიტომ არა გვაქვს იმედი მათრახის კუდმა იქონიოს რაიმე გავლენა, მაგრამ ერთი მაინც უცხუნე. ვინ იცის იქნებ გასჭრას.

აქაურ ჩარჩებს რასაკვირველია მოუხდება თითო, თითო მათრახის გადაკვრა, მაგრამ ყალბ სასწორს და სანაწყაოს არა მგონია ასე ადვილათ აალონ ხელი.

არც ახალგაზრდა მწერალი ღვინიაშვილი მოიშლის თითო განაწერაზე თითო მანეთის გროშას, თუმცა სოფლიდან ამისათვის ჯამაგირი ეძლევა, მაგრამ საცდელათ ერთი ამასაც უცხუნე თუ ძმობა გწამს.

ერთი სიტყვით თუ ერთხელ ფეხი ჩამოგიცდა ჩვენში, მერმე მგონი წასვლაც აღარ მოისურვო იმდენი საქმე გაგიჩნდება. მაშ გელით მოუთმენლათ.

შენი **სოფლელი ამხანაგი.**

* * *

**ჩიბათი.** ეშმაკ! თუ ძმა ხარ ერთი უცხუნე ამ ნოე კვაჭაძეს! იმიტომ კი არა „ფედერალისტი" რომაა; არა, იმიტომ რომ ისე არას გზით არ ასწორებს იმ „საქველმოქმედო" წარმოდგენის ანგარიშს. „პოლიტიკურ ტუსაღებს უნდა დავეხმაროთ, შიმშილით კვდებიანო" და დახმარება კი არსადა სჩანს. ამბობენ შემოსავალი 80 მანეთს უდრიდაო და საქმე გასავალზეა. ახლა ვნახოთ ნოეს გასავალი და შემოსავალი რამდენათ ეთანხმებიან ერთმანეთს. მათრახი არ უნდა დაგვჭირებოდა ამისთვის, მაგრამ რას იზამ, ხომ მოგეხსენება რეაქციის ამბავი!

ჰყონიებსაც დაეტყო გამოცოცხლება! მაგრამ ეს უნდა დაუმადლოთ „მათრახის კუდს"! დადიანის მეძებრებივით ეძებენ იმას, ვინც მათ პლატონს შეჰკადრა ავად ხსენება. თუ ხელში ჩაიგდეს ვაი მისი ბრალი, მაგრამ ჯერ მხოლოდ ეძებენ:

ან კი რა ქნან ამ საწყლებმა?
მეტი რაღა დარჩენიათ,
ნაცვლათ პატიოსნებისა
„მეძებრობა" შერჩენიათ.

ეს ყველაფერი ყველაფერია ძმაო ეშმაკო, ჰყონიებს შენი ჭირიც წაუღიათ, მაგრამ ზემო ჩიბათის სამკითხველოს გაყიდვას ნუ შეარჩენ თუ ძმა ხარ იმ ხუცებს. არა, რომელმა წმინდანმა უბრძანა მოსე და მარკოზ ჯორბენაძეებს ბიბლიოთეკის სახლი მედუქნეს მიჰყიდეთო? წიგნები მაინც რაუყვეს ამ დალოცვილებმა?

ერთი უცხუნე თუ ხათრი გაქვს შენი კურთხეული „მათრახის კუდი" მათ კურთხეულ ზურგს, რომ შემდეგისათვის მაინც ჭკუით იყვენ.

მშვიდობით, შენი **ნიბლია.**

* * *

**სამტრედია.** ძვირფასო ძმაო ეშმაკო!

გელოდით და აღარ იქნა
ერთი შენი ჩამოფრენა,
ნეტა რა გაქვს მაცოდინა
საქმეები ამოდენა?!

აქ კი, შენი მათრახი სწორედ რომ ძლიერ საჭირო და დროს შესაფერი იარაღია. ალებ-მიცემობამ აქ შესამჩნევათ იმატა. ჩვენებური ვაჭრები ფოთში სულ ოხრის ფასათ შოულობენ საქონელს, მოაქვთ აქა და ჰყიდიან რასაკვირველია. ერთი სამეგრელოს მაზრის უფროსი რომ წერავდა ის ტყუილი როდი ყოფილა?! მაგალითად ფუთ შაქარს ფოთში (პირდაპირ ვაგონებიდან იცოდე!) ექვს აბაზათ და სამ კაპეიკათ ყიდულობენ. ასევე რასაკვირველია პურის ფქვილსაც.

შენ ეჭვიანი ხარ და იფიქრებ ეს ალბათ ნამალევათ ხდებაო, მაგრამ რა საკადრისია!

რადგანაც ადგილობრივი ფოსტის უფროსი მეტ დროს ოშიყობაში ატარებს, და აგრეთვე სამტრედია სავსეა სოციალდემოკრატებით, ამიტომ აკრძალეს აქედან ფულის გაგზავნა. ვაჭრები ამ გარემოებამ ფრიად დიდს საგონებელში ჩააგდო. ფოსტის უფროსს რომ ერთი მათრახის კუდი უწილადო ამას არც კაცი დაგიწუნებს და არც ღმერთი.

მღვდლების საქმე ჩინებულუათ მიდის წინ. აი ერთი სოფლიდან ერთი ეკლესია მეორე სოფელში გადაიტანეს და მოუხდა მღვდლებს შეტაკება. ხომ მოგეხსენება: „ცხოვრება ბრძოლაა"! ასე ბესარიონ და ივლიანეც დიდ ამბავში არიან. ამ საქმეში ყოვლად სამღვდელო ლეონიდეც შეაწუხეს თურმე.

ჩვენი სადგურის უფროსი, მას შემდეგ, რაც „ძველი ოქროს ფულები" ამოაჩინა და შეიძინა, მოსვენებას ვერა გრძნობს. ბ-ნი ანტონოვი ჯერ კიდევ ელოდება იმ ვაჭრებს, მაგრამ არ იქნა და არა! საწყენი კია, კაცს ასე მოულოდნელათ რომ მოგადგება სიმდიდრე კარზე და ასე უცებ გაგიფრინდება.

რკინის გზის მოსამსახურენი, თუ შეიძლება ასე ითქვას: სულიერზე უსულო საგნებს" წარმოადგენენ. შეგნების იმ საფეხურს მიაღწიეს, რომელზედაც იდგა ჩინგის-ხანის დროინდელი მონგოლიის პროლეტარიატი.

ამათთვის ურიგო არ იქნება ცოტაოდენი მათრახის წვერის წატკაცუნება! ისე, რომ აეწვას ტყვილათ, თორემ ზიანი არაფერი უნდა მიადგეს.

მაშ ჩამოინავარდე და ერთი გაიქნიე შენი მათრახის კუდი.

შენი **ა. წვაია.**

* * *

**ს. მიქელ-გაბრიელი.**

ჩვენი სოფლიდან გაიქცა
მამასახლისის მწერალი,
მანდილოსნების არშიყი
თვალებში შემაცქერალი.

ძველ დროში „სოციალისტი“
მარსელიეზის მღერალი,
ეხლა-კი ფულის ფლანგვაში
ორმოცჯელ დანაჭერალი.
წავიდა, ვეღარ ვიხილეთ
მისი გზაი და კვალია,
მთელი მუხურო გაგვდლიტა
ყველას დაგვადვა ვალია!
შენ გევედრებით, ეშმაკო,
ეგება მოჰკრა თვალია,
უცხუნე შენი მათრახი
და დაურბილე ძვალია.
მხოლოთ წინდაწინ გაფრთხილებ,
რომ მეტათ უყვარს ტყულია
თავი არ მოიკატუნოს
არ აგიჩვილოს გულია.
სახარჯოს ხელათ გამოგტყოვს
თუ შემოაკლდა ფულია,
(მაგი ეშმაკსაც შეაცდენს
ისეთი დაღუპულია).
როცა ამ მწერალს უცხუნო
აუწვა კუდის რიკია,
მერე **სამხთოში** მოძებნე
არტემა ხომერიკია.
სულ მაგის მოგონილია
სოფლათ ჭორი და ხრიკია.
„კამპანიაში“ თუ დაჯდა
გასკდება როგორც ტიკია.
ძველ დროში ხულიგანობდა,
ნამდვილ გურული ბზიკია,
კარგი იქნება მაგასაც
გაამართვიო ჭლიკია.

**გურიანთელი.**



### პროვინციის მოღვაწეები.

—

შემცდარი იქნება მკითხველი თუ იფიქრებს, ვითომც ჩვენ შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომ, მცირე მოღვაწეებს არ ვამჩნევდეთ. სახალხო საქმეში მათაც შესაფერი ღვაწლი მიუძღვით და ჩვენს მოვალეობას შეადგენს მიუდგომლათ აღვნიშნოთ მათი მოღვაწეობის მთავარი, უფრო საინტერესო მხარეები. თუ შეძლება დაგვირჩა, რასაკვირველია, მათ სურათებსაც გავაცნობთ მკითხველებს, მაგრამ რადგანაც ეს ძნელი საქმეა, ამისათვის უმთავრესათ ჩვენ მათი მხოლოდ ბიოგრაფიები გვექნება.

დღევანდელ ნომერში ვათავსებთ ბიოგრაფიას პატივცემული პედაგოგისას.

**სპირიდონ ი. ენუქიძე.**
(ახალ-სენაკი)

გორის სემინარიის გათავების შემდეგ სპირიდონი დაინიშნა ახალ-სენაკის ორკლასიანი სასწავლებელის მასწავლებლათ. 2 წლის შემდეგ კი, ღირსეული შრომისათვის, ამავე სასწავლებლის „სმოტრიტლობა“ მიიღო და დღემდის ამ თანამდებობას ასრულებს. მან ჩინებულათ შეითვისა ლევიცკის მუნჯური მეთოდი და დიდებული პედაგოგის სახელიც გაითქვა სრულიად ახალ-სენაკში. ამ მეთოდით ვარჯიშობს ის 27 წლის განმავლობაში, რის გამო ლევიცკიმ სპირიდონი სამეგრელოში თავის მთავარ აგენტათ დანიშნა. არქიელმა ფლავიანემ რევიზიის დროს, მადლობის ნიშნად კიდევაც გადაკოცნა. მამა ვოსტორგოვმა და სმაგინმა სარევიზიო წიგნში ენუქიძის ქებათა-ქება ჩასწერეს და, სხვათა-შორის, სასწაულთ-მოქმედი პედაგოგი უწოდეს. მთავრობამ კი ერთგული სამსახურისათვის „ნადვორნი სოვეტნიკობა“ და სტანისლავა“ მეორე ხარისხისა უბოძა. საზოგადოებამ („ბურჟუიკებმა) ბანკის დირექტორათ ამოირჩია...

„ერთობის“ დროს სპირიდონს მთელი გუბერნიის მასწავლებლები (გარდა ოდიშარიასი და ხოპერიასი) ბოიკოტით გაუმასპინძლდენ. რის გამო ავად გახდა და რვა თვის განმავლობაში თავის სახლიდან გარეთ არ გამოსულა. ამ ავად მყოფობის გამო მზრუნველმა ნება დართო მას 500 მან. სკოლის ფული „მოეხმარა“. მორჩა სპირიდონი მხოლოდ მაშინ, როდესაც სენაკს ალიხანოვი ესტუმრა. მხცოვანი პედაგოგი თავისი ტემლაკებით გამოეცხადა დიდებულ გენერალს.

დღეს ენუქიძე განაგრძნობს თავის უანგარო მოღვაწეობას. სკოლის საქმე ჩინებულათ მიჰყავს. ახლა სახალხო სკოლების ინსპექტორობას ელის და თუ სუდაკოვმა თავი გაანება სამსახურს—უეჭველათ მიიღებს. ბოიკოტის გამოცხადებამდი რეზანოვის პარტიაში იყო, დღეს-კი „ჭეშმარიტ-ქართველობას“ ჩემობს, თუმცა ბოროტი ენები გაიძახიან: წინად ქართული არც თუ მაგრე რიგათ უყვარდა და მიიღო სმოტრიტლობა თუ არა—ქართულიც მოსპო სასწავლებელშიო...

№ 1.

(შემდეგი იქნება)

### ს ი მ ღ ე რ ა.
(მიბაძვა აკაკისა).

ჩემო თავო ჩინი აწ გიწერია,
„ბუნტოვჩიკი“ ბევრი დაგიჭერია!
ჩემო გულო ტკბილათ აწ გიძგერია,
მთავრობა ხომ შენი მადლიერია!
მით სამოთხეს მარად გულით ვატარებ,
თუ მარტო ვარ თავს უძლეველს ვადარებ,
თუ ხალხში ვარ ყველას „ბუნტს“ ვაბრალებ!
მთავრობის მტერს მე აღარ გავახარებ!
აღარა აქვს ბოლო ამ ჩემს სიხარულს,
ყველა მიშლის სანეტაროთ სულს და გულს,
ყველგან ვპოვებ სიტკბოებას, სიყვარულს,
დ ვიკურნავ წარსულ დროის დარდს და წყლულს.
ჩემო თავო ჩინი აწ გიწერია,
„ბუნტოვჩიკი“ ბევრი დაგიჭერია!
ჩემო გულო ტკბილათ აწ გიძგერია,
მთავრობა ხომ შენი მადლიერია!..

**ვ. მალაქიაშვილი.**

—

# დეპეშები.
(ლიკლიკაძის სააგენტო)

**ლანჩხუთი.** დეკანოზმა კონსტანტინემ გადიხადა სამადლობელი პარაკლისი ერმოლოვ-ტოლმაჩევის დანიშვნის გამო. სიტყვა წარმოსთქვა ბოქაულმა მიქიევმა, რომელმაც დამსწრენი მიიწვია საუზმეზე—დაესწრენ ჩიბათიდან ჭყონიების მაგივრათ ნიკო და პლატონი, ჯურუყვეთიდან სირია, საუზმეზე უკრავდა გრამაფონი, სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორმასწავლებლების ხორომ მიქიევთან ერთათ იმღერეს ეროვნული ჰიმნი. უხვად დაიხ-რჯა შამპანსკი.

**სად. სუპსათოვო.** სასტრაჟნიკოს დროებით მმართველმა პრისტავ სავანელის ძმამ შეიპყრო კამეჩების მეხრე გაქცეული ავაზაკი გლეხი—ხელად გადაუწყვიტეს ნიგვზის ძირში დახვრეტა, მაგრამ რადგან გლეხს ჯიბეში სამ მანეთიანი აღმოაჩნდა და რადგან ხელმწიფის „პატრეთიანი“ ფულის დახვრეტა კანონით არ შეიძლებოდა ამისათვის ავაზაკი მეხრე გაუშვეს სამიანი ასიგნაცია კი შეიპყრეს.

**ოზურგეთი.** ქალაქის თავმა თხოვნა შეიტანა სადაც ჯერ არს: „რადგანაც ჩემდამი რწმუნებული ქალაქის მცხოვრებნი ყველანი ციხეში სხედან, გთხოვთ შეიბრალოთ, არ დატოვოთ უთავოთ და მეც მათთან მომაქციეთო.

**ახალ-სენაკი.** აქეთ ხმები დაუყარეს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, სტრაჟნიკ კოწია ცომაიას, თითქო ის თავის კანონიერ ჯამაგირს (?) ... ფულებას აპარებდეს ხალხის აწიოკებაში. ამბობენ ამ საქმისთვის შეიძლება

ის სამართალში მისცენო. წინდახედულ ცომაიას უკვე გაუგზავნია წერილი ცნობილი ვექილი გვაზავასათვის, რომელსაც სთხოვს დაიფაროს იგი (როგორც მეგრელი) მთავრობის შარებისაგან. გვაზავას თანხმობა განუცხადებია. შეიძლება ტყუილია.

**ბათუმი.** გამგეობის წევრათ მდივანი უნდა აერჩიათ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. განზრახულია ბათუმის საავადმყოფო „საპებიო ინსტიტუტათ“ გადააკეთონ.

**ოზურგეთი.** გურია სამეგრელოს ეპ. მინდესი სინოდის ობერ პროკურორობაზე დავითმა კატეგორიული უარი განაცხადა: მე ამ ხელობას ობერ .. (ვერ გავარჩიეთ რა სწერია) მირჩევნიაო.

**სოხუმი.** მას შემდეგ, რა ჩვენმა ქალაქის თავმა პოეტობა დაიწყო, პროექტების წერას უკლო. მოქალაქეები ძლიერ დაღონებული არიან ამგვარი ცვლილებით.

**ქუთაისი.** ისეთი არაფერია.

**ჭიათურა.** ჭიათურა-საჩხერის საზოგადოებანი ადრესის გაგზავნას აპირობენ ბ-ნ გვაზავას სახელზე, რომელმაც არ დაზოგა თავისი მჭევრ-მეტყველება და საზოგადოების თვალში „დაუმსახურებელი“ ჩირქი მოეცხო მათ მამასა და მფარველ ბოჭორიძეს. [?ქაჯულ კედიას.]

**შემოქმედი.** ცნობილ ნაოსის წინამძღოლობით თავს დაესხენ ქორწილს. მეფე დედოფალმა გაქცევით თავს უშველა. მაყრებთაგან 22 კაცი და ქალი შეიპყრეს. „თავდამსხმელებმა“ დაატყვევეს 2 ჩასაციებული ინდოური, 1 შემწვარი გოჭი, 2 მოხარშული ბეჭი, ექვსი ჩახოხბილი ქათამი და 7 საწყავი ღვინო; რომლებიც 24 საათში გაასამართლეს.

---

### მესამე დუმა.

მოგილოცავთ მესამე დუმას. ღმერთი სამებითაა!

1 **ნოემბერი.** მესამე დუმა გაიხსნა იმღერეს საერო ჰიმნი. აირჩიეს თავმჯდომარეთ ხომიაკოვი—ოქტომბრისტი. გოლოვინმა ერთი ხმა მიიღო. კრება დაიშალა.

5 **ნოემბერი.** დღეს მეორე კრებაა მესამე დუმისა. აირჩიეს თავმჯდომარის ამხანაგები ბარონი მეიენდორფი და თავადი ვოლკონსკი. თავმჯდომარის მოადგილეთ არჩეულ იქნა ვოლკონსკი. ის მემარჯვენეა. ამავე დღეს აირჩიეს მდივანი სოზონოვიჩი.

მემარჯვენეები თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი წყალში.

3 ივნისის კანონი არ უნდა დაგვავიწყდეს.

---

### დუმის შ. დგენილობა.

მესამე დუმა—ეს მოხუცთა დუმაა. 28 % 50 წლისაზე უფრო ხნიერებს შეადგენს. სისხლით--მესამე დუმა—„კეთილ შობილია“. 34 დეპუტატი თავად აზნაურთა წინამძღოლია, 9 საგუბერნიო საკრებულოს უფროსი, 45 მღვდელი და აგრეთვე მრავალი სამსახურს გარეშე დარჩენილი პოლიციელები.



### გამოცანა.

**„ქართველი ზუბრი“**

პრემია!!! ვინც ამ სურათს გამოიცნობს და დაგვიწერს სრულ მის ბიოგრაფიას მიეცემა პრემიათ: „ეპლის“ პოლიტიკური ეკონომია ბ. ჭალარასი, და სრული ლექსთა კრება მგზნები დვალისა, თუ სადღესთობა უწევს განთავისუფლებული იქნება—უ უ უ ქ რ თ ა მ ო თ.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქცია.

---

### „რაც გუშინ იყო, დღესაც ის არის“*)

(აზიანის მიბაძვის მიბაძვა).

გუშინაც ჭია (არა აბრეშუმისა)—დღესაცა.
გუშინაც უნიჭო—დღესაცა!
გუშინაც უკბილო ოხუნჯი—დღესაცა.
გუშინაც ხელოსანი—დღესაცა!
გუშინაც უცხო დრამატურგების მძარცველი—დღესაცა!
გუშინაც მელპომენის „პარაზიტი“—დღესაცა!
გუშინაც „ინტრიგანი“—დღესაცა!
გუშინაც „მანია გრანდიოზათ“-თ ავადმყოფი—დღესაცა!
გუშინაც „აფერისტი“—დღესაცა!
გუშინაც თავის თავის „რეკლამიორი“—დღსაცა!
გუშინაც შოვინისტი—დღესაცა.

ნ. აზიანი.

*) „ეშმაკის მათრახი“ ბეჭდავს ამ წერილს მხოლოთ იმიტომ, რომ საშვალება მისცეს ქ. აზიანს პასუხი გასცეს გუნიას „ნიშადურს“. თითონ რედაქცია კი მუდამ უპასუხოთ დასტოვებს „ნუშადურის“ ისეთ უზრდელსა და ტუტუცურ წერილებს, როგორიც „მონადირის“ ოხუნჯობაა.

---

### „ეშმაკის მათრახის“ ფოსტა.

**ქ. მო—ვს.** აბა რა სათქმელია! ეს წერილობაში არა ერთხელ და ორჯერ იყო აღნიშნული. ფედერალისტები აგრე ადვილათ ვერ შეელევიან იმ საპოლემიკო საგანს, იმათ რომ ილიას მეველელობაზე წერა შეეწყვიტათ ამდენ ხანს ფედერალისტები დავიწყებული იქნებოდენ. ახლა კი ამის მეოხებით მათი ხსენებაც ძალა უნებურათ გვიგონობს. ამიტომ თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**ემიგრანტს** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება, რადგან სახელსა და გვარს არ სწერთ. ზემოხსენებული მართლაც მივიწყებული კუთხეა, მაგრამ მიუხედავათ ამისა თქვენს წერილს მაინც ვერ ვბეჭდავთ.

**ნორდკინს.** თქვენი წერილი არ იბეჭდება იმიტომ, რომ თითქმის იმავე შინაარსის კორესპონდენცია გვქონდა მოთავსებული.

**ოჩე-კოჩს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზისა გამო.



**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა:**

ქირავდება ქალ. ოზურგეთში მთელი ოზურგეთის სავაჭრო ბაზარი. პირობების შეტყობა შეიძლება ოზურგეთის საგუბერნიო ციხის უფროს—ჯაყელთან.

უმცროვრებით იზურ. ქალაქის მოურავი ვ. ს. ხუნდაძე.

7—ნ/უ—1.

---

მიიღება ხელის მოწერა!!

მიიღება ხელის მოწერა ჟურნალ

## ეშმაკის მათრახზე.

ჟურნალი ღირს ერთი წლით—5 მანეთი ნახევარი წლით—3 მ. ერთი თვით—50 კ.

ვინც 1908 წლისათვის გამოიწერს ჟურნალს, ამ წლის „ეშმაკის მათრახი“ 1-ლი ნომრიდან უფასოთ გაეგზავნება.

ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს:

Тифлисъ въ редакцію жунала „Ешмакисъ Матрахи“. Михайловская 65.

---

რედაქტორ-გამომცემელი

**თ. ბოლქვაძე.**

ელექტრომბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ მიხეილის პროსპექტი, № 65.